„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

# პრესრელიზი

**ღვინის ეროვნული სააგენტო, სააქტო დარბაზი**

**2024წ., 28 ივნისი, 10:00 – 14:35**

2024 წლის 28 ივნისს, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ (სბმკ „ორქისი“) ქ. თბილისში ატარებს თემატურ სემინარს მწვანე საჯარო შესყიდვაზე (მსშ). სემინარი განკუთვნილია საქართველოს სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისა და მწვანე ზრდის პროცესში საკვანძო როლს თამაშობენ.

მსშ სემინარი გაიმართება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. სბმკ „ორქისი“ წარმოადგენს ქვეპროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასში კოორდინატორის როლი აკისრია.

მსშ სემინარის თემაა „მწვანე საჯარო შესყიდვა და ცირკულარული ეკონომიკა“. სემინარზე განხილული იქნება მსშ-ის კონცეპცია და მსშ-ის პროცესი, ევროკავშირის მსშ პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო, კავშირი მსშ-სა და ცირკულარულ ეკონომიკას შორის. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქვეყნებში მსშ-ის განხორციელების პრაქტიკული მაგალითები.

სემინარს გაუძღვება ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობისა და მდგრადი დაფინანსების საკითხების საერთაშორისო ექსპერტი დოქტორი დარიუშ პრასეკი - საინჟინრო ეკოლოგიის დოქტორი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, გაეროს ცირკულარული ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ამერიკათაშორისი განვითარების ბანკის (IDB Invest) განვითარების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტი.

მსშ სემინარი მეოთხეა ხუთი თემატური სემინარიდან, რომელიც აღნიშნული ქვეპროექტის ფარგლებში, ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალურ, მმართველობისა (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების (GPP) საკითხებში სათანადო სამთავრობო უწყებების შესაძლებლობების განვითარებისთვისაა დაგეგმილი, ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი ინფორმირებული მონაწილეობის ხელშესაწყობად, ასევე ESG და GPP სტანდარტების პოლიტიკის დონეზე მხარდასაჭერად.

ქვეპროექტი „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. შესაძლებლობების განვითარების თემატური სემინარების გარდა, ქვეპროექტი საქართველოსთვის ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის მომზადებას ითვალისწინებს. ქვეპროექტს ახორციელებს სბმკ „ორქისი“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილისა და ცირკულარული ეკონომიკის, მდგრადი დაფინანსების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტის, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელის დოქტორ დარიუშ პრასეკის ხელმძღვანელობით. მათ ეხმარება სბმკ „ორქისი“-ს გუნდი, რომელშიც საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ექსპერტები შედიან.

- მწვანე შესყიდვები სათავეს დაბინძურების თავიდან აცილების პრინციპიდან და საქმიანობიდან იღებს. ევროკავშირის განსაზღვრებით, მსშ არის „პროცესი, სადაც საჯარო სამსახურები ცდილობენ შეიძინონ საქონელი, მომსახურება და სამუშაოები, რომელთა სასიცოცხლო ციკლის გარემოზე ზემოქმედება ნაკლებია, ვიდრე სხვაგვარად შესყიდული იმავე ძირითადი ფუნქციის მქონე საქონლისა, მომსახურებისა და სამუშაოებისა.“
- მსშ-მ შეიძლება საკვანძო როლი ითამაშოს ეკონომიკის უფრო რესურსეფექტიანად და კლიმატმეგობრულად გადაქცევაში. იგი შეიძლება დაგვეხმაროს მოთხოვნის კრიტიკული მასის უფრო მდგრადი საქონლისა და მომსახურებისაკენ გადამისამართებაში, რომლებსაც სხვაგვარად ბაზარზე გასვლა გაუჭირდებოდა, რადგანაც ზოგიერთი „მწვანე“ საქონელის ან მომსახურების შემთხვევაში პირველადი ხარჯები შესაძლოა უფრო მაღალი იყოს, თუმცა ასეთმა საქონელმა ან მომსახურებამ, მისი მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, შესაძლოა თანხა დაზოგოს.
- როგორც წესი, საჯარო სექტორი მსხვილი მომხმარებელია და ეკოლოგიურად სუფთა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესარჩევად მისი მსყიდველობითი ძალის გამოყენება მდგრად მოხმარებასა და წარმოებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.
- მსშ-მ საჯარო სამსახურებს შეიძლება ფინანსური დანაზოგი მოუტანოს, განსაკუთრებით თუ ხელშეკრულების სრულ სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებულ ხარჯებს გავითვალისწინებთ და არა მხოლოდ შესყიდვის ფასს. მსშ-ის განმახორციელებელი ხელისუფლების ორგანოები გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად, მაგალითად, სათბურის აირების გაფრქვევების შესამცირებლად, ან უფრო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისთვის უკეთ იქნებ აღჭურვილი.

GPP სემინარი ორგანიზებულია სბმკ „ორქისი“-ს მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს განვითარების

პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. აღნიშნულ ქვეპროექტს სბმკ „ორქისი“ ახორციელებს, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაკოორდინირებელი როლი აკისრია.


საკონტაქტო ინფორმაცია:

ნინო კუჭავა

ტელ: 595335699

ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com